



MES 1 20 0001098862



16/11/2020

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 02/11/2020

სხდომის დაწყების დრო 14:15 სთ

სხდომის დამთავრების დრო 15:43 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის №186 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის №87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

**მანანა სამხარაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის №220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**თამარ თორია** - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

**ნინო კეკელიძე** - შპს "აღმოაჩინე საქართველოს" დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

### **სხდომაზე დამსწრე პირები**

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:**

**ლალი გიორგიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“:**

**ნათია გოცაძე** - რექტორი, დამფუძნებელი;

**მარიამ დარბაიძე** - ვიცე-რექტორი;

**მაკო ჯაოშვილი** - ვიცე-რექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამების ხელმძღვანელი;

**ნინო არჯენიშვილი** - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

- შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

არა

**სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:**

- შპს მართვისა და კომუნიკაციის სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა.

**1. პირველი საკითხი** - შპს მართვისა და კომუნიკაციის სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ურთიერთობები და კომუნიკაციის ფსიქოლოგია
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3.	კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
4.	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი, 0321
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	31/07/2020

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხილება**

არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

## **ზეპირი მოსმენა**

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულებას წარმოედგინა თავისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რექტორმა ნათია გოცაძემ დამსწრეთა წინაშე წარადგინა თავი და დაწესებულების წარმომადგებლები, რომელებიც კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით გასცემდნენ პასუხს.

რექტორმა ნათია გოცაძემ საბჭოს გააცნო დაწესებულების პოზიცია და აღნიშნა, რომ შპს მართვისა და კომუნიკაციის სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯი“ პირველად არის მსგავს სიტუაციაში, რადგან დაწესებულება ახალი დაფუძნებულია (2019 წელს მიენიჭა ავტორიზაცია) და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესიც მათთვის ახალი იყო. აღნიშნული პროგრამის შეფასების ფორმულა იყო უპრეცედენტო, რადგან ამჟამად არ ხდებოდა მხოლოდ ახალი პროგრამის შეფასება, უნდა შეფასებულიყო ახალი უნივერსიტეტის ახალი პროგრამა.

მისი თქმით, „ალტერბრიჯი“ არის ახალი ინსტიტუცია, რომელიც შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში 7 წლიანი გამოცდილების საფუძველზე. ამ საკითხს ხაზი გაუსვა, რადგან პროგრამა, რომელსაც განიხილავენ და დაწესებულების წარმომადგენლების განაცხადი, რის გამოც მათ მიაჩნიათ, რომ არ არის სამართლიანი და უსაფუძვლოა აღნიშნულ პროგრამაზე აკრედიტაციის მინიჭებაზე უარი, უკავშირდება იმ მიდგომასა და იდეას, რის გამოც შეიქმნა „ალტერბრიჯი“, - ეს არის „PR აკადემიის“ მიერ დაფუძნებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც უკვე 8 წელია ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამებს, კვლევებს, მათ აქვთ მუდმივი კომუნიკაცია დამსაქმებლებთან და პროგრამაზე მუშაობის პროცესში ეს ყველაფერი იქნა გამოყენებული. ერთი მხრივ, პროგრამა შეიქმნა დამსაქმებლების დაკვეთაზე დაყრდნობით, - რადგან დაწესებულების წარმომადგენლებმა იციან რა საკითხები დგას ხოლმე დამსაქმებლების წინაშე, როდესაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ან კომუნიკაციის სპეციალისტების შერჩევა არის მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ, პროგრამა შეიქმნა დარგის სპეციალისტების მიერ (რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ) და არა მარტო მათ მიერ, რადგან „PR აკადემიის“ 7 წლიანი მოღვაწეობა, სანამ ინსტიტუცია შეიქმნებოდა, ყველა იმ ძირითადი სპეციალისტის ჩართულობით ხდებოდა, რომლებიც წლების განმავლობაში ეხმარებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობების სფერო განვითარებულიყო. ასევე, „PR აკადემია“ იყო ინიციატორი იმისა, რომ შემუშავებულიყო საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტები. ეს ყველაფერი მან, როგორც რექტორმა აღნიშნა, რადგან საბჭოს წევრებს შეექმნათ წარმოდგენა თუ საზოგადოებასთან ურთიერთობებში რამხელა გამოცდილებაზე დაყრდნობით იქნა შედგენილი პროგრამა, რომელიც მიმდინარე ეტაპზე განიხილება და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

მან გამოთქვა სურვილი, რომ სააპელაციო საბჭო სისტემურად მიჰყოლოდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომის პროცესსა და იმ წინააღმდეგობას გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებს ჰქონდათ. აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრები გაეცნენ ექსპერტების რეკომენდაციებსა და სხდომის ოქმს. გულწრფელად რომ ითქვას, როგორც რექტორმა, უკვე გააკეთა აქცენტი, თუ როგორ შეიქმნა პროგრამა, ხოლო ამ პროცესს მოყვა შეფასების პროცესი, რომელიც განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დარგის სპეციალისტების მიერ, რომელთაც აქვთ მათ აქვთ დიდი გამოცდილება ამ სფეროში, როგორც პრაქტიკული, ასევე აკადემიური მიმართულებით. ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რჩევითი ხასიათის რეკომენდაციები, რომელიც აღნიშნეს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, რომ აღნიშნულ რეკომენდაციებს ჰქონდა რჩევითი ხასიათი, რადგან დაწესებულება ახლა იწყებდა აკადემიურ საქმიანობას.

ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ მიიღო აკრედიტაციის შეფასების პროცესში, შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეტური ხასიათის იყო, რადგან „ალტერბრიჯს“ აქამდე არ ჰქონდათ სასწავლო პროცესის განხორციელების პრეცედენტი; აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენლებმა მიიჩნიეს, რადგან ექსპერტები იყვნენ დარგის ის სპეციალისტები, რომლებიც მათთვის ავტორიტეტს წარმოადგენენ, გასათვალისწინებელი ყოფილიყო მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები შეფასების პროცესშივე. დაწესებულების წარმომადგენლებმა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ზეპირი მოსმენის დროსაც დააფიქსირეს, რომ მათ უკვე დაიწყეს ისეთი სახის რეკომენდაციების შესრულება, რომლის შესაბამისაც მიიჩნიეს, რომ პროგრამას გააუმჯობესებდა (რადგან ექსპერტები ახორციელებდნენ აკადემიურ სფეროში მსგავსი ტიპის პროგრამებს). საუბარია იმაზე, რომ პროგრამა გააძლიერდა რამდენიმე კურსით, მემორანდუმებით გამყარდა კონკრეტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობები დარგთან მიმართებით და კიდევ უფრო გაფართოვდა პარტნიორთა არეალი სტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის. ასეთი ტიპის რეკომენდაციები მათთვის მნიშვნელოვანი იყო. დაწესებულება უკავშრებდა ინსტიტუციის/სასწავლო პროგრამის განვითარებას PDCA ციკლს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა დაგეგმეს პროგრამა, შეადგინეს და არიან იმ ეტაპზე, როდესაც უნდა დაიწყონ განხორციელება და შემდეგ იზრუნონ, რომ პრობლემები, რომლებიც განხორციელების პროცესში გამოიკვეთება, გამოასწორონ და შემდეგ დაბრუნდნენ ისევ ციკლის საწყის ეტაპზე. მისი თქმით, როდესაც აკრედიტაციის საბჭოს განუცხადეს, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულია და ძალიან დიდი პროცენტი უკვე განხორციელებულია, მათთვის გასაკვირად საბჭოს წევრებისგან მოყვა რეაქცია, თუ რატომ იყო საჭირო. მათ აკრედიტაციის საბჭოს განუმარტეს, რომ ეს საჭირო იყო, რადგან მათი პროგრამა/ინსტიტუცია და ზოგადად არცერთი პროგრამა/ინსტიტუცია არ შეიძლება იყოს მხოლოდ ფურცელზე და დოკუმენტის სახით წარმოდგენილი, ეს არის ცოცხალი პროცესი, რომელშიც ინსტიტუცია უნდა იყოს მზად, რომ გაითვალისწინოს დარგის სპეციალისტების რეკომენდაციები და ის მითითებები, რომლებიც გააუმჯობესებდა ამ პროცესს და რისთვისაც დაწესებულებამ მზაობა გამოთქვა.

აღსანიშნავი იყო შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი, შეფასების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტების მიერ შეფასდა: 1-ლი და მე-5 სტანდარტი - „სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან“, ხოლო მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები - „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, რაც ლოგიკური იყო. ასეც უნდა ყოფილიყო ახალი დაწესებულების ახალი პროგრამის შემთხვევაში. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო საკითხი კომპეტენციასა და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მოულოდნელი იყო განცხადება, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა არის სხვა სფერო და დაუშვებელია იყოს მასობრივი კომუნიკაციის ნაწილი ან ასახავდეს მასობრივ კომუნიკაციას. ეს იყო მთავარი ინდიკატორი, რამაც საბოლოო ჯამში განსაზღვრა საბჭოს გადაწყვეტილება, რაც გამოწვეულია იმით, რომ აკრედიტაციის საბჭო არ იყო დაკომპლექტებული დარგის სპეციალისტებით. ტერმინის „მასობრივი კომუნიკაცია“, როგორც

განმარტავს ოქსფორდის, კემბრიჯის, დარგობრივი ლექსიკონითა და საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვითაც, გულისხმობს ინფორმაციის დამუშავებას, მის შედგენას, ტექსტზე/შინაარსზე მუშაობას და კომუნიკაციის იმგვარად დამყარებას, სადაც ორივე მხარის მიღება/აღქმის პროცესი არის გათვალისწინებული, ეს არის ის სფერო, რომელსაც ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობა, ამიტომ მისი ასე ცალსახად განსაზღვრა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა არ არის მასობრივი კომუნიკაციის ნაწილი, მხოლოდ ერთი საფუძველი შეიძლება ჰქონდეს, რომ არის არასწორი აღქმა დარგთან მიმართებაში.

აკრედიტაციის საბჭოზე ასევე წინააღმდეგობრივად მნიშვნელოვანი საკითხი იყო, თუ რატომ არ ჰქონდა დაწესებულებას განსაზღვრული ამ პროგრამის კვალიფიკაცია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით 0414 დეტალური სფეროს ქვეშ (მარკეტინგი და რეკლამა) საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში. რადგან, როგორც აკრედიტაციის საბჭოზე ითქვა საზოგადოებასთან ურთიერთობა და რეკლამა ამ მიმართულებით არის გაწერილი. რექტორი იმთავითვე მიხვდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრები აღნიშნულ შემთხვევაში ხელმძღვანელობდნენ ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოთი (120/5), სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობა და რეკლამა ცვლილებამდე იყო 0414-ის კატეგორიაში, ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებაში. თუმცა საკვალიფიკაციო ჩარჩოს ცვლილების შემდეგ საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც მიმართულება, საბაკალავრო დონეზე სრულად იქნა ამოღებული და მათი პროგრამა მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა არის ერთიდაიგივე სფეროში, ანუ ერთიდაიგივე საკვალიფიკაციო უნარების მატარებელი და თვისობრივი შინაარსის სფერო. ამიტომ, დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ყოფილიყო მასობრივი კომუნიკაციის ვიწრო სპეციალიზაციაში, რაც გულისხმობს, რომ ერთი მიმართულება არის ექვსნიშნა კოდის მიხედვით ჟურნალისტიკა, და მეორე, არის მასობრივი კომუნიკაცია, რომელიც საკვალიფიკაციო ჩარჩოში პირდაპირ არის აღნიშნული, - როგორც შინაარსზე მუშაობა.

დაწესებულების არჩევანი რა თქმა უნდა იყო მასობრივი კომუნიკაცია და ყველა ის ძირითადი საგანი, რომელიც პროგრამაშია წარმოდგენილი 150 კრედიტის საგნები, მათში ყველა ის გამოცდილებაა, არამარტო დაწესებულების წარმომადგენლების, არამედ პარტნიორი საერთაშორისო დარგის გამოცდილება, სრულად მიიმართა იმისკენ, რომ მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციასა და კომპეტენციაზე ყოფილიყო გასული ძირითადი საგნების თითქმის სრული პროცენტი; თუმცა საბჭოს სხდომის ოქმში არის აღნიშნული და არაერთხელ იქნა ამაზე ხაზი გასმული, თუ რამდენი კრედიტით გადის პროგრამა კვალიფიკაციაზე. მისი მოსაზრებით, თუ მინიმუმია 120 კრედიტი, მათ შემთხვევაში 132 კრედიტით გადის სასპეციალიზაციო საგნებით გადის მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციაზე მათი პროგრამა, თუმცა 18 კრედიტი დამატებითი საგნების სახით, ირიბად, ასევე, შინაარსობრივი და შედეგების კუთხით მოიცავს იმას, რომ მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაცია გაამართლოს აღნიშნულმა პროგრამამ. დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ძალიან მოულოდნელი იყო ის ფაქტი, რომელიც დაადასტურეს ექსპერტებმაც და ინსტიტუციის მხარემაც, რაც არ იქნა გათვალისწინებული დარგის სპეციალისტების მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დარგთან აბსოლუტურად არანაირი პროფესიული და აკადემიური კავშირის მქონე ადამიანების მოსაზრებიდან გამომდინარე. რექტორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველა სპეციალობას/პროფესიას სჭირდება გარკვეული ცოდნა, რათა შეფასებული იქნას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა გადის თუ არა პროგრამა კვალიფიკაციაზე, აღნიშნა, რომ მას რომ ვინმემ უთხრას სამედიცინო სფეროს რომელიმე პროგრამა შეაფასოს მიაჩნებს თუ არა კვალიფიკაციას, ნამდვილად ვერ აიღებს ამას საკუთარ თავზე და ნამდვილად ექნება იმისი მზაობა, რომ დარგის სპეციალისტებს მისცეს სიტყვა, სწორედ ამიტომ აკეთებს ამხელა აქცენტს.

მან განმარტა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, - როდესაც იყო დასმული კითხვა, თუ სად შეიძლება დასაქმდეს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული, დაწესებულების პასუხი, - რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ეს არის პროფესია, რომელიც მარკეტინგისგან განსხვავებით დღეს სჭირდება ყველა იმ უწყებას/სტრუქტურას: - საჯარო, კომერციული თუ არასამთავრობო, რომელსაც აქვს სურვილი დაამყაროს კომუნიკაცია მასებთან და ეს კომუნიკაცია იყოს ორიენტირებული რეპუტაციასა და ნდობაზე, - აკრედიტაციის საბჭოს მხრიდან მიღებული იქნა, როგორც ფილოსოფიური პასუხი. ასეც იყო განმარტებული აკრედიტაციის საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ. რეალურად, ეს არის ყველაზე პრაქტიკული პასუხი. ნათია გოცამემ აღნიშნა, რომ 15 წელია ამ სფეროშია და 8 წელია სწავლების, პროგრამებისა და კვლევის კუთხით არის ჩართული საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში; ყველაზე დიდი მოთხოვნაა საჯარო უწყებაში და მოცემულ მომენტში თვითონ აწარმოებს საჯარო სამსახურების კვლევას კომუნიკაციების უნარ-ჩვევების მიმართულებითა და იმ პროგრამების ეფექტიანობის მიმართულებით, რომელიც კომუნიკაციაზე არის ორიენტირებული. ახლაც ყველაზე მოთხოვნად სფეროდ არის დასახელებული იმ უნარების გამაუმჯობესებელი პროგრამები, რომლებიც კომუნიკაციასა და ინფორმაციის სწორად მიწოდებას, ტექსტის შედგენასა და ინფორმაციის მიწოდების პროცესში ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას ეხება, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მათმა მომხმარებელმა თუ ინფორმაციის მიმღებმა ადეკვატურად აღიქვას მათ მიერ შედგენილი ინფორმაცია, ეს ყველაფერი კი, მას, როგორც რექტორს აძლევს საფუძველს განაცხადოს, რომ მათ კურსდამთავრებულებს ექნებათ საშუალება დასაქმდნენ ნებისმიერ უწყებაში, რომელსაც სჭირდება ორმხრივი კომუნიკაცია და ამაზე იყო აქცენტი პროგრამაში გაკეთებული.

რექტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა ეს არის მეტნაკლებად ახალი სფერო საქართველოში, განსაკუთრებით აკადემიური სწავლების კუთხით.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა „ალტერბრიჯის“, როგორც ინსტიტუციის შექმნის საფუძველი; იმისათვის რომ, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩამოყალიბებულიყო როგორც ერთ-ერთი იდეა, რომელიც მისიაშიც აქვთ გატანილი, საკომუნიკაციო გარემო და ამ სფეროს მიმართ დამოკიდებულება, ამ სფეროს იმ დონითა და ხარისხით შესწავლა, როგორც მსოფლიოშია. მისი საჭიროება დღეს დგას და ამის ბევრი მაგალითი არსებობს. ამ იდეას უზრუნველყოფდა კიდევ ერთი ინსტიტუცია, რომელიც სრულად მოემსახურებოდა ამ პროცესს და სრულად იქნებოდა ჩართული ამ სფეროს განვითარებაში. ასევე განმარტა, რომ მათ PR ასოციაციაც ამ მოტივით დააფუძნეს, რადგან მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარებას, ამიტომ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ პროგრამა, რომელიც შეიქმნა დარგში არსებული მრავალწლიანი გამოცდილებით, ადამიანებით, რომლებიც ეწევიან პრაქტიკულსა და აკადემიურ საქმიანობას მასობრივი კომუნიკაციის სფეროში იმ პერსონალის მიერ, რომელიც თითოეულ სილაბუსზე მუშაობის დროს გაითვალისწინა ის, რომ სფერო უნდა განვითარდეს, სტუდენტმა უნდა შეძლოს მაქსიმალურად უზრუნველყოს ორმხრივი კავშირი, ტექსტის შედგენა, ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ამ პროცესში და იზრუნეს იმაზე, რომ აღნიშნულმა პროგრამამ თავისი შინაარსითა და შედეგებით გაამართლოს ის სახელი და კვალიფიკაცია, რომელიც იქნა მინიჭებული და ამგვარად იქნა ეს პროცესი წარმართული. შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებისთვის სრულად მოულოდნელი იყო, როდესაც აკრედიტაციის საბჭომ მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება - უარი აკრედიტაციაზე.

რექტორის თქმით აქცენტი იყო გაკეთებული საგანმანათლებლო პროგრამის სახელთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პროგრამა სახელთან მიმართებით ექსპერტების შეფასებულია, როგორც უნიკალური პროგრამა საგანმანათლებლო ბაზარზე; რასაც განაპირობებდა ის, რომ გაძლიერდა ფსიქოლოგიის კომპონენტი, მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან

ურთიერთობა ეს არის გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც ეყრდნობა ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ა.შ. მომიჯნავე მეცნიერებების საფუძვლებს და ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნული სფეროს პროფესიულ დონეზე განხილვა და შესწავლა. დაწესებულების წარმომადგენლების აქცენტი, გამოცდილებიდან გამომდინარე გაკეთდა იმაზე, რომ ფსიქოლოგიურ ჭრილში იყოს შესწავლილი ინფორმაციის დამუშავების, გადაცემის, აღქმის, მიმღებლობის, ფსიქოტიპების მიხედვით თუ ტექსტის შინაარსის მიხედვით საკითხები. უკუკავშირის დამუშავების გარეშე ეს ყველაფერი შეუძლებელია, რაც ასახული იყო პროგრამაში. რექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესშივე მიიღეს რეკომენდაცია, თუ რატომ არ ჰქონდათ სათაურში შინაარსის თემები გატანილი. რატომ იყო მხოლოდ „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ და კარგი იქნებოდა, რომ მთელი შინაარსობრივი მხარე, რომელიც სფეროს ამყარებს და აძლიერებს, სათაურშივე ყოფილიყო გათვალისწინებული და სწორედ ამიტომ, მათ აკრედიტაციის პროცესის მზადებისას შეიტანეს ცვლილება პროგრამის სახელწოდებაში. ჩამოაყალიბეს, როგორც „საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაციის ფსიქოლოგია“, შესაბამისად უფრო მეტად გააძლიერეს ფსიქოლოგიის კომპონენტი აღნიშნულ სასწავლო კომპონენტში. ასეთი სახის რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგენლებისთვის არის კატეგორიულად მიუღებელი, თუნდაც იმიტომ, რომ კერძო უნივერსიტეტი და არა მხოლოდ კერძო უნივერსიტეტი, უფლებამოსილია პროგრამის სახელი შეარჩოს მისი შეხედულებისამებრ. მთავარი ეს სახელი არ იყოს აცდენაში იმ მიზანთან, რომელსაც საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით მისანიჭებელი კვალიფიკაცია მოიცავს. დაწესებულების წარმომადგენლებისთვის თვალსაჩინო იყო, რომ რეკომენდაციებში ფაქტობრივად მეორდება ერთიდაიგივე შინაარსის რეკომენდაციები და არის სხვადასხვა კონტექსტში წარმოჩენილი, ყველა ეს რეკომენდაცია არის პირდაპირ მიმართული იმაზე, რომ პროგრამის შინაარსმა უნდა უზრუნველყოს კვალიფიკაციის მინიჭება. სრული გულწრფელობითა და პროფესიონალიზმით მან განაცხადა, რომ ამ პროგრამის შინაარსით გათვალისწინებული 132 კრედიტის საგანი პირდაპირ უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით კვალიფიკაციის მინიჭებას და ის 18 კრედიტი ასევე არის ირიბად მიმართული იმისკენ, რომ მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაცია იყოს მინიჭებული აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგ. მინიშნებულია, მეორე და მეექვსე მუხლის პუნქტები, ჯამურად მათი მიხედვით 50% არის საჭირო და 62.5%-ით გადის აღნიშნული პროგრამა კვალიფიკაციაზე თუ სამართლებრივი ჭრილიდან შეხედავენ აღნიშნულ საკითხებს. კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სრულიად მოულოდნელი იყო აკრედიტაციის საბჭოს უარი აკრედიტაციაზე და სწორედ ამიტომ ჩათვალეს საჭიროს მიემართათ სააკველიციო საბჭოსთვის და გამოეტანათ საკითხი განსახილვად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო ოკრიბელაშვილმა მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, მან მიმართა საბჭოს წევრებს, დაესვათ კითხვები ან წარმოედგინათ მოსაზრებები.

## დისკუსია

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, აღნიშნა, რომ განაცხადში ძალიან მძიმე ბრალდებები უწერიათ აკრედიტაციის საბჭოს მიმართ, ახლა კი არცერთი სიტყვა, მინიშნებაც კი არ უთქვამთ ამასთან დაკავშირებით და დაინტერესდა რატომ მოხდა ასე.



რექტორმა, ნათია გოცამემ საბჭოს წევრს სთხოვა დაეკონკრეტებინა რას გულისხმობდა „მძიმე ბრალდებებში“.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა ამოიკითხა დაწესებულების სააპელაციო განაცხადის ფრაგმენტი, სადაც საუბარია სხდომის ჩატარებას დაშვებულ პროცედურულ დარღვევებზე, სხდომის მსვლელობისას საბჭოს წევრების მხრიდან საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით (მუხლი 27<sup>4</sup> „საბჭოს საქმიანობის წესი და პრინციპები“, პუნქტი 4) განსაზღვრული მუხლის დარღვევაზე, საბჭოს წევრების მიერ ზეწოლაზე, საბჭოს წევრთა მიერ დამატებული რეკომენდაციების ბუნდოვანებასა და სამართლებრივი გაუმართაობაზე და ა.შ., რაზეც რექტორს ერთი მინიშნებაც კი არ გაუკეთებია.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაზეც რექტორმა სხდომის განმავლობაში არაფერია იმასთან შედარებით, რაც სააპელაციო განაცხადის პირველ აბზაცში წერია.

რექტორმა, ნათია გოცამემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს კითხვის დასმისათვის. მან განაცხადა, რომ სხდომის დასაწყისში თქვა პროცედურულ დარღვევების შესახებ არ გააკეთებდა აქცენტს. მან აღნიშნა, რომ პროცედურულ დარღვევებში ტექნიკურ ნაწილს გულისხმობდა, პირველ რიგში არ იყო მითითებული სახელები და გვარები ეკრანზე (Zoom მომხმარებელი/ანგარიში). დაწესებულების წარმომადგენლებმა არ იცოდნენ ვინ ესწრებოდნენ სხდომას რეალურად, ძირითადად იყვნენ user-ის, ID-ს ან კოდის სახით წარმოდგენილნი. ეკრანზე არ ჩანდა საბჭოს წევრები, ვერ ხდებოდა მათი იდენტიფიკაცია და აქედან გამომდინარე, როდესაც საუბრობდნენ ტექნიკურ ნაწილზე ეს ჰქონდათ მხედველობაში.

რაც შეეხება ზეწოლას ინსტიტუციისადმი, პირველ რიგში ზეწოლაში იგულისხმა ის, რომ შეკითხვაზე რა საგნებითა და რამდენი კრედიტით გადის ინსტიტუცია საკვალიფიკაციო ჩარჩოს აღმწერთან შესაბამისობაში, როდესაც პროგრამის ხელმძღვანელმა დაიწყო საგნების ჩამოთვლა, შეაწყვეტინეს პასუხი და აპელირება იყო გაკეთებული იმაზე, რომ საბჭოს კი შეეძლო სადამომდე ყოფილიყო და განეხილა ეს საკითხი, მაგრამ არ იყვნენ დისკუსიისა და დებატებისთვის და სთხოვეს მოკლედ წარმოედგინათ პასუხი. რექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, როდესაც დარგის არა სპეციალისტი იღებს გადაწყვეტილებას, რომ განსაზღვროს გადის თუ არა პროგრამა კვალიფიკაციაზე, დაწესებულებას უნდა მიეცეს საშუალება არგუმენტის წარდგენისთვის, რომ დარგის არა სპეციალისტს, რადგან დარგის სპეციალისტი ამ საგნების მხოლოდ დასახელებებიდანაც კი მიხვდებოდა, რომ „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ და ა.შ. სხვა საგნები მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციასთან სრულ შესაბამისობაშია. მაგრამ, რადგან დაწესებულებამ დაინახა, რომ საჭირო იყო განმარტება დაიწყეს თითოეული საგნის ჩამოთვლა/აღწერა, რათა დაესაბუთებინათ რამდენად არ იყო მართებული საბჭოს მხრიდან კომენტარი, რომ თითქოს საზოგადოებასთან ურთიერთობა არ არის მასობრივი კომუნიკაცია. ამისი საშუალებას დაწესებულებას არ მიეცა. საბჭოს წევრებმა შეაწყვეტინეს საუბარი საზოგადოებასთან ურთიერთობაზე. ნათია გოცამემ განმარტა, რომ მან მოითხოვა „Zoom-ის“ აუდიო/ვიდეო ჩანაწერი, რადგან აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან არაეთიკური მიდგომა არამხოლოდ ერთ, აღნიშნულ ეპიზოდში დასტურდება. რადგან კითხვა დაისვა მზად არის ისაუბროს სხვა დანარჩენზეც, როდესაც რექტორმა მოითხოვა „Zoom-ის“ ჩანაწერი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან, მათ უპასუხეს, რომ ჩანაწერები შემდგომ მალევე ნადგურდება და ამიტომ აღნიშნული ჩანაწერის მიწოდების საშუალება არ მიეცათ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ საბჭოს სხდომის ჩანაწერიც ემსახურება მხოლოდ ერთადერთ მიზანს, რომ სწორად მოხდეს ოქმის ფორმირება და მასში აისახოს ყველა მიმართულება. ეს არ არის ის დოკუმენტი, რომელიც საბჭოს მიმართ არსებული პრეტენზიების შემთხვევაში შეიძლება დაწესებულებამ გამოითხოვოს და როგორც კი დასრულდება ოქმის ფორმირება, საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი მოაწერენ ოქმს ხელს, ჩაქნაწერი ნადგურდება და არავის რჩება.

რექტორმა განაცხადა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია ამის შესახებ, რადგან ეს იყო დაწესებულების პირველი აკრედიტაციის საბჭოს ზეპირი მოსმენა და სწორედ ამიტომ გამოითხოვეს ჩანაწერი, რადგან საკმაოდ არაეთიკურია აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან არ მისცენ საშუალება ინსტიტუციას, რომ უპასუხონ ბრალდებას. ეს ბრალდებებიც და კითხვების ფორმულირებაც (რომლებიც არც იყო კითხვები), იყო პირდაპირი განცხადებები საბჭოს მხრიდან, ოქმში შეეძლოთ ეხილათ, - პირდაპირ წერია ფრაზა „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, კვალიფიკაციისათვის, გამორიცხულია საზოგადოებასთან ურთიერთობების შესწავლა“. მისთვის გაუგებარი რას ნიშნავს, ან როგორ შეიძლება ასეთი განცხადება გააკეთოს საბჭოს წევრმა ან თუ აკეთებს ასეთ განცხადებას არ მისცეს ინსტიტუციას პასუხის საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა რექტორს დაეზუსტებინა, თუ როგორ იყო ჩანაწერი ფორმირებული, რადგან მისი მოსაზრებით, ოქმში ასეთი რაღაც არ იყო.

რექტორმა განაცხადა, რომ ზუსტად ოქმიდან კითხულობდა, „საბჭოს წევრი თამარ ტუფინაშვილი დაინტერესდა თუ რამდენად კავშირში იყო პროგრამა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. იმ სფეროში, სადაც ხდება კვალიფიკაციის მინიჭება, კერძოდ ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით, გამორიცხულია საზოგადოებასთან ურთიერთობების შესწავლა“. რექტორის თქმით ძალიან თამამი განაცხადია დარგის არა სპეციალისტისგან, მან ბოდიში მოიხადა ასეთი ფორმულირებისთვის და როდესაც დარგის სპეციალისტები, პროგრამის შემდგენლები ცდილობენ ახსნან რას ნიშნავს და საბჭო ამის საშუალებას არ იძლევა, იმთავითვე შეცდომაში შეიძლება შევიდნენ ის სხვა წევრები, რომლებსაც ასევე შესაძლებელია არ აქვთ წარმოდგენა დარგთან მიმართებაში. მან გამოყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ დაწესებულებას არ აქვს იურიდიული უფლება დაუშვას, რომ კვალიფიკაციასთან არ იყოს შესაბამისობაში პროგრამის შინაარსი, ეს არის აბსოლუტური ცილისწამება, რომ პროგრამის შინაარსი არ არის შესაბამისი საკვალიფიკაციო ჩარჩოს აღმწერთან და როდესაც კეთდება ასეთი განცხადება, ეს არის უფლებამოსილების გადამეტება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ფაქტობრივად აკრედიტაციის საბჭომ განიხილა საბაკალავრო პროგრამაში დარგობრივი კრედიტების რაოდენობა და კვალიფიკაციის მინიჭებისთვის არის თუ არა საჭირო რაოდენობა (120 კრედიტი). ასევე განიხილა პერსონალის შემადგენლობა და რაოდენობა, მან ამ კითხვებით დაასკვნა, რომ პროგრამა და რესურსები აცდენილია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. მას აინტერესებდა, დამატებითი კითხვებითაც/მოსაზრებებითაც იყო თუ არა მათი პოზიცია არგუმენტირებული და გამყარებული.

რექტორმა განაცხადა, რომ განხილვა ძალიან დავიწროვდა აღნიშნულ თემასთან მიმართებაში და მხოლოდ ამ თემაზე იყო კონცენტრაცია გაკეთებული. საწყის ეტაპზე საუბარი იყო იმაზე, გადის თუ არა 120 კრედიტით პროგრამა შედეგზე, დაწესებულებამ და ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ გადის და საბჭოს სხდომის მსვლელობისას დაწესებულებამ აღნიშნა, რომ არამხოლოდ 120 კრედიტით გადის პროგრამა შედეგზე. ეს გახლდათ მინიმუმი, რასაც კანონი

ავალდებულებს მათ. პროგრამა 132 კრედიტით გადის სრულად და პლიუს დამატებითი 18 კრედიტით. დაწესებულებამ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე იმთავითვე დააფიქსირა, რომ პროგრამა გადის სწავლის შედეგზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ შემდეგ წამოიწია საკითხმა ორ პერსონალთან დაკავშირებით. აქ არ იყო საუბარი აკადემიურ პერსონალზე, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობების კუთხით დაწესებულებას სამაგისტრო პროგრამა ჰქონდა შემდეგ ეტაპზე და იგივე პერსონალით სამაგისტრო პროგრამასაც აკმაყოფილებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს კვლევითი კომპონენტი ადამიანური რესურსებით. ამაზე საუბარი აკრედიტაციის საბჭოზე არ ყოფილა, საუბარი იყო 2 პერსონალზე, (აფილირებული პერსონალი), ერთ-ერთი არის მაკო ჯაომვილი, რომელიც ვიცე-რექტორია და დარგში არის 20 წლიანი პრაქტიკული გამოცდილებით, აკრედიტაციის საბჭოზე აღნიშნა, რომ მას აქვს ბიოლოგიის დოქტორის ხარისხი და რამდენად უფლებამოსილია წაიკითხოს საგანი „ორატორული ხელოვნება“. რაზეც პერსონალმა უპასუხა, რომ ის 20 წელია თავად გახლავთ დარგობრივი კურსების შემმუშავებელი და მის კვალიფიკაციას არ ესაჭიროებოდა ახსნა. იგი ამ სფეროშია პროფესიონალი როგორც სწავლებისა და პროგრამის შედგენის კუთხით, ასევე, არის ექსპერტი კომუნიკაციის კუთხით, რომელიც უზრუნველყოფს სხვა პროგრამების შემოწმებას ამ მიმართულებით.

რექტორმა აღნიშნა ასევე, რომ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით კითხვა დაისვა ალექსანდრე გაბუნასთან მიმართებით. იგი ასწავლის აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებას. მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი აქვს თეოლოგიაში. დაწესებულებამ ეს საკითხი გაიარა მაშინ, როდესაც პროგრამაზე მუშაობდნენ, შეეძლოთ თუ არა აფილირებული პერსონალის შერჩევა პრაქტიკული ნიშნით, რადგან აღნიშნულ სფეროში ძალიან რთულია პერსონალის შერჩევა ინტეგრირებულად. ალექსანდრე გაბუნია არის კინო რეჟისორი, უამრავი სატელეკომუნიკაციო პროექტის ავტორი, ადამიანი, რომელიც მოცემულ მომენტში ჩართულია რამდენიმე საერთაშორისო კვლევაში, რომლებშიც უკვე ჩართულნი არიან მათი სტუდენტები (ამ შემთხვევაში მაგისტრები). მისი კომპეტენცია არის გამართლებული მისი პრაქტიკული საქმიანობით და არა აკადემიური ხარისხით (თეოლოგიის მაგისტრი).

რექტორმა განმარტა, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან პერსონალის კვალიფიკაციასთან შესაბამისობის მაგალითისათვის მხოლოდ ორი საკითხი იყო გამოტანილი. შესაბამისად ის ფაქტი, რომ პერსონალი ვერ აკმაყოფილებს პროგრამის შინაარსს, უკვე დარღვევა და რეალურ შეფასებასთან აცდენა. მისი მოსაზრებით, აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან გადაწყვეტილების მიღება მოხდა არასრული ინფორმაციის საფუძველზე.

დაწესებულებას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ სრულად წარმოეჩინათ პროგრამის შინაარსი, აკადემიური პერსონალის გამოცდილება და აკადემიურ პროგრამაში მონაწილეობის საჭიროება. მხოლოდ დაკითხვის მეთოდით მიმდინარეობდა სხდომა. დაწესებულების წარმომადგენლები ისხდნენ საბრალდებო სკამზე და არ მიეცათ საშუალება მიეწოდებინათ ობიექტური ინფორმაცია, რადგან მუდმივად ხდებოდა საუბრის შეწყვეტა.

რაც შეეხება მძიმე ბრალდებებს, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისმევა კითხვა სად დასაქმდება მათი კურსდამთავრებული. ამ შემთხვევაში არა როგორც რექტორს, არამედ სპეციალისტს, რომელიც 8 წელია ამ სფეროს სპეციალისტების აღზრდით არის დაკავებული და დამსაქმებლებთან აქვს მუდმივი კომუნიკაცია, შეეძლო ეპასუხა სად დასაქმდებიან მის მიერ განსწავლული სპეციალისტები, - PR-ის მიმართულებით. აკრედიტაციის საბჭოს მიერ ამაზე უკუკავშირი იყო, რომ არ უნდათ ფილოსოფიური პასუხები და უფრო კონკრეტულად ეთქვათ. მას არ ჰგონია რომ ეს კორექტული გავს საბჭოს მუშაობას და ეს არის ის, რასაც უნდა ემსახურებოდეს საბჭო - მითუმეტეს აკრედიტაციის საბჭო. ასეთ შემთხვევაში, რა საჭიროა ექსპერტების შეფასება, დარგის სპეციალისტების ჩართვა პროგრამის შედგენაში, ის ათასობით რეკომენდაცია, შეფასება და შემოწმება, რომელიც აღნიშნულ პროგრამას აქვს ათასობით არა, მაგრამ ათობით საერთაშორისო ექსპერტის მიერ. მაშინ რა საჭიროა ეს ყველაფერი თუ ამის არც დამტკიცების და არც გათვალისწინების საშუალება არ ეძლევა არც ინსტიტუციას და არც ექსპერტებს, რადგან მათაც დააფიქსირეს აზრი, თქვეს, რომ ეს პროგრამა არის უნიკალური,

რამაც შეიძლება საზოგადოებრივი ურთიერთობების სფერო მაღალ საფეხურზე აიყვანოს აკადემიურ ჭრილში და პროგრამის სახელწოდება, შინაარსი და აკადემიური პერსონალიც, რომელზეც ექსპერტების დასკვნაშიც არის მითითებული შესაბამისობაშია. პროგრამა შედგენილია დარგში წამყვანი სპეციალისტების მიერ და პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ ადამიანები, რომლებიც დარგში წამყვანი სპეციალისტები არიან.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს აქვს ლეგიტიმური უფლება არ დაეთანხმოს ექსპერტთა მოსაზრებას, მითუმეტეს ექსპერტებს შეუძლიათ დაიცვან თავისი პოზიცია, როდესაც საბჭო გამოხატავს თავის გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თამარ ვეფხვაძეს.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ იმ საკითხს, რომელსაც რექტორი ბოლოს მიმოიხილავდა, ამის პარალელურად აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით ორი ერთმანეთის მსგავსი რეკომენდაციაა წარდგენილი, ერთი ის, რომ უნდა მოხდეს აფილირებული აკადემიური პერსონალის დარგობრივი ნიშნით შერჩევა და მეორე, რომ პროგრამა უნდა განხორციელოს პროფესიონალმა აკადემიურმა პერსონალმა. ორი შინაარსით ერთმანეთთან ძალიან ახლოს მყოფი პუნქტი არის ოქმში, მიუხედავად იმისა, რაზეც რექტორი საუბრობს.

რექტორმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებისთვის იყო სრულიად მოულოდნელი, რადგან ამ საკითხზე საბჭოს სხდომაზე საუბარი არ ყოფილა და შესაბამისად ოქმშიც არ არის ამის შესახებ ჩანაწერი, რომ ყოფილიყო საუბარი აუცილებლად განმარტავდა, რომ ყველა აფილირებული პერსონალი დარგის სპეციალისტია პროგრამა შედგენილია დარგის სპეციალისტების მიერ. რექტორისთვის რომ ეკითხათ ეს რეკომენდაცია გადაწყვეტილებაში არ მოხვდებოდა, ან შესაძლოა მოხვედრილიყო კიდევ, მაგრამ საბჭოზე ეს საკითხი არ წამოწეულა.

საბჭოს წევრმა, ნინო კეკელიძემ კითხვით მიმართა რექტორს, რომ პროგრამა თავის მხრივ ექსპერტებმაც შეაფასეს, როგორც ინოვაციური და უნიკალური და ზოგადად, როდესაც ახალი პროგრამა ან რაიმე გამოგონება გამოდის, ყოველთვის პირველი ნეგატიური ტალღა მაინც იზიდავს, ადამიანის ბუნებაა ასეთი. იგი დაინტერესდა, სანამ დაწესებულება უშუალოდ წარსდგებოდა აკრედიტაციის საბჭოს წინაშე თუ ჩაატარეს გარკვეული კვლევები. მათ ახსენეს, რომ ჩაატარეს, თუმცა მტკიცებულებაზე თუ იფიქრეს, როდესაც შემოდოდნენ საგანმანათლებლო ბაზარზე, ასეთი ინოვაციური და მისი სუბიექტური აზრით, ძალიან საინტერესო, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი, ახალი პროფესიით, დაწესებულება მზად უნდა ყოფილიყო, რომ წამოვიდოდა შეკითხვები თუ სად დასაქმდება კურსდამთავრებული, როგორი კვალიფიკაცია მიენიჭება და ა.შ. დაწესებულებას კი აქვს პროგრამაში აღნიშნული, მაგრამ უშუალოდ პროგრამასა და საგნების თემატიკიდან გამომდინარე იქნებოდა ბევრი კითხვა. იგი დაინტერესდა, თუ იფიქრეს კონკრეტულად და თუ აქვთ მზად მტკიცებულება, მაგ., რაიმე კვლევა დამსაქმებლების საჭიროებებზე, ან შეიძლება არ იყოს ქართული გამოცდილება და საერთაშორისო გამოცდილების გადმოტანას ფიქრობდნენ, მათ აუცილებლად დასჭირდებათ მსგავსი ტიპის მტკიცებულება, თუ მოხდა სააპელაციო საბჭოს მიერ აკრედიტაციის საბჭოსათვის საკითხის დაბრუნება. თუმცა მტკიცებულების სახით რა აქვთ გარდა იმისა რაზეც მსჯელობენ და დაწესებულება წარადგენს მის პოზიციას, საჭიროა ხელშესახები მტკიცებულება ბაზრის მოთხოვნებიდან, რომ ნამდვილად სჭირდება ბაზარს კონკრეტული პროფესიის კურსდამთავრებული და ის იქნება საზოგადოებრივი ურთიერთობის მცოდნე, რომელსაც ასევე ეცოდინება კომუნიკაციის ფსიქოლოგია. მართალია დღეს განცალკევებულია ორივე თემატიკა და საბჭოს ოქმშიც იკითხება ექსპერტების მოსაზრება, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა

განსხვავებული მიმართულებაა და კომუნიკაციის ფსიქოლოგია რადიკალურად განსხვავებული, დაწესებულებამ ეს შეაერთა ისევ მათი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, მაგრამ რა ხელშესახები მტკიცებულება უჭირავთ ხელში, ეს იყო მისი კითხვა.

რექტორმა, ნათია გოცაძემ მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს დასმული კითხვისათვის. მან განაცხადა, რომ ეს არ იყო დაწესებულების მიერ ინოვაციური ხედვის დემონსტრირება, ეს არის ის რასაც ემსახურება საზოგადოებასთან ურთიერთობა და რითიც მუშაობს ეს პროფესია არამხოლოდ დღეს, არამედ ზოგადად მსოფლიოში. 2010 წელს პრალაში ჩატარდა კონფერენცია, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც კომუნიკაციის ნაწილი იყო აკადემიურ დონეზე წარმოჩენილი და ძალიან საინტერესო თეზისები და კვლევები იქნა წარდგენილი. დაწესებულებას ძალიან ბევრი კვლევა აქვს ჩატარებული „PR აკადემიის“ ფარგლებში, „ალტერბრიჯს“ აქვს ძალიან საინტერესო კვლევის დოკუმენტი, რომელიც მათ ვებგვერდზეც არის ატვირთული, სადაც ასახულია თუ რა ტიპის მოთხოვნები წამოვიდა დამსაქმებელთაგან და რატომ გადაწყვიტა „ალტერბრიჯმა“ დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებრივი ურთიერთობების აკადემიურ სფეროში.

აღნიშნული პროგრამა „ალტერბრიჯის“ შექმნის შემდეგი ასახვაა, რადგან პროგრამა არის პროდუქტი, „ალტერბრიჯი“ კი - ორგანიზაცია. მათ ავტორიზაციის პროცესშივე დაიწყეს კვლევები, რადგან ამ პროგრამაზე 2017-2018 წლიდან მუშაობენ, პროგრამის ფარგლებში ძალიან ბევრი კვლევის დოკუმენტი არსებობს და საბჭო თუ დაინტერესდება, თუ რა კვლევებს ეფუძნება ის რომ საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის კომუნიკაციის ფსიქოლოგიის შესწავლა არის აუცილებელი, ამის უამრავი კვლევა არსებობს, რომელებიც მათ აქვთ გაკეთებული. რექტორმა ახსენა კიდევ, რომ მათი აფილირებული პერსონალი ძალიან საინტერესო კვლევებზე მუშაობს და თითოეული ეს კვლევა გულისხმობს, რომ დაადასტუროს რა არის საჭირო იმისათვის, რომ ტექსტი, ინფორმაცია, რომელიც მასებს მიეწოდება, იყოს მიღებული და აღქმული ისე, როგორც მიმწოდებელი აკეთებს ამას. სწორედ ამას ემსახურება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომ შეიქმნას ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ გამცემსა და მიმღებს შორის განხორციელდეს ადეკვატური ურთიერთქმედება, რომელი პროცესიც წარმოუდგენელია სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის გარეშე. უბრალოდ ქართული ბაზრისთვის არის სიახლე, რადგან საზოგადოებასთან ურთიერთობა, ე.წ. PR, ეს არ არის რეკლამა, საუბარი ან რიტორიკა, ეს არის კომპლექსური მეცნიერული მიდგომა, რომელიც მეცნიერულ დონეზე სწავლობს რა აიძულებს საზოგადოებას შეცვალოს აზრი და ქცევა, მარტივი წარმოსადგენია ეს ყველაფერი რა დოზით მოითხოვს ფსიქოლოგიის ჩართულობას.

რექტორის თქმით, ეს არ არის ნათია გოცაძის, მაკო ჯაოშვილის ან „ალტერბრიჯის“ მიდგომა, ეს არის მსოფლიო მიდგომა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ედუარდ ბერნეისმა პროფესიად ჩამოაყალიბა საზოგადოებასთან ურთიერთობა, მაშინვე გააკეთა განმარტება, რომ ეს არის მეცნიერული ახსნა იმისა თუ როგორ შეიძლება იმართოს მასები და რა უნდა იყოს გათვალისწინებული ამისათვის. რა ახდენს გავლენას, რა ცვლის საზოგადოებრივ აზრსა და ქცევას, როგორ შეიძლება ამის ფორმულირება და ეს არის ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის შესწავლის საგანი, ეს არის მულტიციპლინური მეცნიერება, რომელიც ამ ყველაფერს სწავლობს.

რექტორმა აღნიშნა, რომ სრულიად ეთანხმება საბჭოს წევრს, რომ ინოვაცია ყოველთვის მიუღებელია, სამწუხაროდ, მიუღებელი თუ არ არის ექვემდებარება კრიტიკას, რისთვისაც დაწესებულება მზად იყო და „ალტერბრიჯიც“ შესაძლებელია ინოვაციური იყოს თავისი სისტემით, მიდგომებით, რადგან უნივერსიტეტის დაფუძნების მოტივაციაშიც ინოვაციურები აღმოჩნდნენ. მას ძალიან უხაროდა, რომ ავტორიზაციის უცხოელი ექსპერტის მხრიდან, რომელიც პროცესს მართავდა, პირდაპირი განაცხადია დასკვნაში. საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება გამოდგეს, თუ რატომ უნდა შეიქმნას უნივერსიტეტი და უმაღლესი სასწავლო

დაწესებულება, რადგან მოტივაცია მისია, რომ შეექმნათ ახალი შესაძლებლობები ადამიანის პიროვნული და კარიერული განვითარებისთვის, რაც უნდა მოხდეს განათლების გზით, ეს იყო მათი მისია და ამაზე შეუძლია ძალიან ბევრი ისაუბროს თუ როგორ მივიდნენ აქამდე.

საბჭოს წევრის, ნინო კეკელიძეს თქმით ოქმში იკითხება, რომ ფსიქოლოგიის განხრითაც გაჰყვნენ ექსპერტები შეფასებას და დაუსვეს კითხვა, თუ ფსიქოლოგია კვალიფიკაციაა ძირითადი ნაწილია, რატომ არ არის ძირითად საგნებში ფსიქოლოგიის მეტი საგანი.

რექტორმა განაცხადა, რომ ისინი არ ანიჭებენ ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხს, ანიჭებენ მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციას და შესაბამისად ძირითად საგნებში არის ყველა ის კომპონენტი, რომელიც მასობრივ კომუნიკაციაზე გადის, სახელწოდებაშიც კომუნიკაციის ფსიქოლოგიის გამოტანის აბსოლუტური ლეგიტიმური უფლება აქვს ინსტიტუციას, რადგან პროგრამის შინაარსი ამ საკითხზე მოიცავს და სტუდენტმა უნდა იცოდეს რას ისწავლის ამ პროგრამით, სამართლებრივად კი აღნიშნულმა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაცია და შინაარსობრივად საზოგადოებრივი ურთიერთობა და კომუნიკაციის ფსიქოლოგია თავისთავად. ეს კითხვაც გაუგებარი იყო, დაწესებულების წარმომადგენლებს არ უთქვამთ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა ან ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხს ანიჭებენ, ანიჭებენ მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის ხარისხს და იმისათვის, რომ მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრის ხარისხი მიენიჭოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციის ფსიქოლოგიისა და ყველა იმ საგნისა და მიმართულების შესწავლას, რომელიც ამ პროგრამაშია აღნიშნული. არასწორი ფორმულირებაა, რომელ დოკუმენტშია გაწერილი, რომ ანიჭებენ ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხს, რატომ უნდა გაიმიჯნოს ან რატომ უნდა გაჩნდეს ეს კითხვა.

დაწესებულების იურისტმა, ნინო არჯენიშვილმა განმარტა, რომ ეს პროგრამის განსხვავებულობას უსვამს ხაზს.

საბჭოს წევრმა, თამარ ვეფხვაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ახსენეს ძალიან მნიშვნელოვანი დისციპლინები, რომლებიც რა თქმა უნდა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის საფუძველსაც წარმოადგენს. ამ გამოცდილებით მთელი იმ კონცეფციით რასაც ემსახურება უნივერსიტეტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯერ კიდევ ანტიკური ცივილიზაციიდან მომდინარე ფორმულირებით, როდესაც პირველ რიტორთა სკოლის დიდი ორატორი გორგია ლეონტიელი, რომელიც ამტკიცებდა, რომ დარწმუნების ხერხები უმთავრესია, ჰქონდა კითხვა, - თუ კი ეს საკითხი ხელახლა განსახილველად გადაეგზავნება აკრედიტაციის საბჭოს, რამდენად მოახერხებს დაწესებულება საბჭოს დარწმუნებას სხვა გადაწყვეტილების გამოსატანად, მათთვის არსებული რესურსებიდან გამომდინარე.

რექტორმა, ნათია გოცაძემ საბჭოს წევრს მადლობა გადაუხადა დასმული კითხვისთვის და განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით მოახერხებენ, რადგან მას ძალიან დააკლდა მისი და მისი გუნდის წინასწარი მომზადება საბჭოსთვის, მან იცის რა კუთხით უნდა დაანახოს აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, რათა ობიექტური ინფორმაცია მიიღონ და რაზე გააკეთოს აქცენტები, რადგან დაწესებულებას აქვს ამის საფუძველი, აქვს უამრავი კვლევის დოკუმენტი, აფილირებული პერსონალი, რომელიც დარგში ახორციელებენ აღნიშნულ კვლევებს, რექტორს შეუძლია საბჭოზე ისაუბრობს ყველა საგნის სილაბუსზე და დაუმტკიცოს, რომ ეს პროგრამა, თავისი შინაარსით სრულად გადის მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიკაციაზე, რის საფუძველსაც ასევე აძლევს ის, რომ ამ საბჭოს შემდეგ, რამდენიმე დღეში ჰქონდათ სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამის ზეპირი მოსმენა, რომელიც გაცილებით უფრო რთულია და უკვე მიიღეს გამოცდილება, რომელ საკითხებზე უნდა

გამახვილდეს ყურადღება. რექტორმა განმარტა, რომ პირველ საბჭოზე არ იყვნენ მზად და ამან გამოიწვია ის, რომ საბჭოს წევრებმა ვერ მიიღეს ინფორმაცია. ეს გადაწყვეტილება გამოტანილი იქნა, რადგან საბჭოს სამი წევრის აქტივობით გამოთქმულმა ინფორმაციამ, აქცენტებმა, პირდაპირმა და ცოტა მოსაფრთხილებელმა სიტყვებმა, გამოიწვია შედეგი. მოპასუხე მხარეს არ ჰქონდა სრულად წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი. ეს იყო დაწესებულების წარმომადგენლების გამოუცდელი შედეგი, ამიტომ მისი მოსაზრებით, შემდეგ საბჭოზე გულწრფელად და პირდაპირ დააფიქსირებენ, არგუმენტებით ყველა იმ პოზიციას, რომელიც ნამდვილად მყარი აქვთ, იმ საბჭოს მერე კიდევ უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა დაწესებულების გუნდი, რადგან კონკურსებს მუდმივად აცხადებენ, მაგ., მარიამ დარბაიძე დაწესებულებას შემოუერთდა 2 კვირის წინ, როგორც ვიცე-რექტორი. მისი თქმით „ალტერბრიჯი“ ვითარდება, მას აქვს უფლება, რომ განვითარდეს და ეს პროგრამა, არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „ალტერბრიჯისთვის“, რადგან ამისთვის შეიქმნა ის და რექტორი ამას დაამტკიცებს შემდეგ აკრედიტაციის საბჭოზე, თუ მიეცემათ ამის საშუალება.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, მიმართა საბჭოს წევრებს, რომ თუ კითხვები არ აქვთ შესაძლებელია გავიდნენ საათთბიროდ.

15:22 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 15:33 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

## კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს, რაც არ ნიშნავს, რომ სააპელაციო საბჭომ არამართლზომიერად მიიჩნია აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება, არამედ მათ საჭიროდ ჩათვალეს, რომ პროცედურული თვალსაზრისით დაწესებულებას ჰქონდა პრობლემები, ვერ დამყარდა ვიზუალური კონტაქტი, იყო ტექნიკური პრობლემები, დაწესებულებას არ მიეცა აზრის გამოთქმისა და საკუთარი თავის დაცვის საშუალება. მართლზომიერებასთან დაკავშირებით სააპელაციო საბჭოს სხვა მოსაზრება არ გააჩნია, დაეთანხმნენ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას, ხოლო პროცედურული საკითხებიდან გამომდინარე შესაძლებელია გადაწყვეტილება ჩაითვალოს პრობლემურად. დაწესებულების მოსაზრებით გადაწყვეტილება იყო არასწორი და რომ არ გაუმყარდეთ მათ აღნიშნული მოსაზრება, სააპელაციო საბჭომ ამიტომ ჩათვალა საჭიროდ, რომ დააბრუნოს პროგრამა ხელახალ განხილვაზე.

## გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ „ალტერბრიჯის“ „საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

15:43 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

